

შალვა კვინიხიძე თამარ მჭედლიძე

ევროკავშირში საქართველო ინტეგრაცია საქართველოს საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახურის მატარებელი¹

აბსტრაქტი

საქართველოს მთავრობისათვის ევროპული ინტეგრაცია ნომერ პირველი პრიორიტეტია და შესაბამისად, არსებული თანამშრომლობის ფარგლებში ვალდებულებების შესრულება და თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება ყოველთვის აქტუალური საკითხია. სამოქალაქო უსაფრთხოების სფერო მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ასევე, ევროკავშირისათვის. წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (სსმს) ჩამოყალიბებას, ევროპულ ინსტიტუტებთან სექტორულ ინტეგრაციას და მათ როლს ევროკავშირის სტანდარტების შესრულების გზით სსმს-ის რეფორმირების პროცესში. ასევე, ყურადღებაა გამახვილებული სსმს-სა და ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს შორის კატასტროფების რისკის მართვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე დადებულ ადმინისტრაციულ შეთანხმებაზე. ადმინისტრაციული შეთანხმების გაფორმება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროინტეგრაციისაკენ. ის ხელს შეუწყობს შესაბამის სამსახურებს შორის თანამშრომლობას კრიზისის დროს და მიმდინარე რეფორმებს, ასევე, ევროპული სტანდარტების დანერგვას სფეროში. ადმინისტრაციული შეთანხმების გაფორმება, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის მეტ ინტეგრაციას ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმთან.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, სექტორული ინტეგრაცია, აღმოსავლეთ პარტნიორობა, სამოქალაქო უსაფრთხოება, ევროკომისარი, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმი, ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალური დირექტორატი, საგანგებო სიტუაციების მართვა, კატასტროფების რისკის მართვა.

შესავალი

საქართველოს ევროინტეგრაციისა და ქვეყანაში ევროპული სტანდარტების დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტი არის ასოცირების შესახებ შეთანხმება “ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის” (შემდგომში ასოცირების შეთანხმება) და მის მიერ შექმნილი თანამშრომლობის მექანიზმი². ასოცირების შეთანხმება თავისი ყოვლისმომცველობით ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა დარგს, რომელიც თავის მხრივ სექტორებად შეიძლება გამოვყოს. საქართველოს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ ევროკავშირის შესაბამისი სექტორის სააგენტოებთან, პროგრამებთან და ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა, დაახლოება, ასევე,

¹ წინამდებარე სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს საქართველოს მთავრობის პოზიციას და ეკუთვნის მხოლოდ ავტორებს.

² იხილეთ ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდი [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)).

ევროსტანდარტების საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ადაპტირება და იმპლემენტაცია მეტად ეფექტურს და ჰარმონიულს გახდის საქართველოს პარტნიორობას ევროკავშირთან. შესაბამისად, ევროინტეგრაციის გზაზე სექტორულ ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს. სტატიის მიზანია, ხაზი გაესვას, რომ საგანგებო სიტუაცია, მასზე მყისიერი რეაგირების აუცილებლობის გათვალისწინებით, მოითხოვს ერთი გამოკვეთილი უწყების არსებობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საგანგებო სიტუაციის ეფექტიან რეაგირებაზე, არსებული რისკების მართვაზე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საქმიანობის განხორციელებაზე.

ევროკავშირში სექტორული ინტეგრაცია საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჩამოყალიბების მეშვეობით

წარსულში არსებული პრაქტიკის ანალიზისა და 2017 წლის აგვისტო-სექტემბერში გაჩენილი მასიური ტყის ხანძრების შეფასების საფუძველზე³, შეიქმნა ახალი სამსახური, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (შემდგომში – სამსახური), რომელმაც ჩაანაცვლა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. სამსახურში მიმდინარე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და ფუნქციონალური რეფორმების მიზანია შემდეგი: სამოქალაქო უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის შექმნა, უწყებათაშორისო კოორდინაციის გაძლიერება რეაგირების კუთხით, ასევე, პრევენციის, მზადყოფნისა და აღდგენის კუთხით, საგანგებო სიტუაციების მართვის გამარტივება და მობილობის გაზრდა, სწრაფი და ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, დაგეგმვისა და რეაგირების ერთიანი სისტემის შექმნა და საგანგებო სიტუაციების დროს საზოგადოებისათვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზება.

სამსახური თავდაპირველად წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დანესებულებას (საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1-ლი იანვრიდან სამსახურს შემოუერთდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი). 2019 წლის 1-ლი იანვრიდან სამსახური წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულებას, საკუთარი ბიუჯეტით, რესურსებით, ადამიანური რესურსების სისტემით. სამსახურის უფროსს წარადგენს შინაგან საქმეთა მინისტრი და თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.⁴

თუმცა, ზემოაღნიშნული სამსახურის ჩამოყალიბების მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო⁵ (ე.წ. „რეფორმების პირველი ეტაპი“). რეფორმების პირველი ეტაპი ძირითადად დაკავშირებული იყო სამსახურის სტრუქტურულ ცვლილებებთან, რაც გულისხმობდა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების გაერთიანებას. ხოლო რეფორმების მეორე ეტაპზე მოხდა სამსახურის ფორმირება კანონმდებლობის საფუძველზე და გაიწერა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ფუნქციები, კომპეტენციები და, ასევე, მოხდა სისტემასთან დაკავშირებული ინოვაციების დანერგვა. 2018 წლის 3 მაისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი,⁶ რომელიც დადებითად იქნა შეფასებული ნატოსა და ევროკავშირის ექსპერტების მიერ.⁷ აღნიშნული კანონპროექტი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მიიღო პარლამენტმა 2018 წლის 27 ივნისს, რომელიც ძალაში 2018 წლის 1-ელ აგვისტოს შევიდა. ეს არის რეფორმების მეორე ეტაპის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე იქნა შემუშავებული.

³ სსმს-ის შექმნისა და მისი ფუნქციებისა და სამომავლო გეგმების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://rdfig.ge/conferences/andmaterialstherein>. See also official web page of the Ministry of Internal Affairs at <https://police.ge/en/shss-s-tkis-khandzrebisa-da-samoqalaoq-usaftrkxhoebis-sakitkhebsi-etrokavshiris-eqsperti-etsvia/11128>.

⁴ იხილეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი <https://police.ge/en/2019-tslis-1-ianvridan-sagangebo-situatsiebis-martvis-samsakhuri-shinagan-saqmeta-saministros-saqveutskebo-danakofi-iqneba/12030> (ქართულად).

⁵ იხილეთ საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3954233> (ბოლო ნახვა 25.02.2019).

⁶ იხ. საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდი http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=491&info_id=65300 (ბოლო ნახვა 25.02.2019).

⁷ 2018 წლის 29 მაისს, ქ. თბილისში ნატოს სამეკავშირეო ოფისში ნატოს და ევროკავშირის პროექტ PPRD East 2-ის ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, სამსახურის მიერ მომზადებულ კანონპროექტთა პაკეტი განიხილეს.

კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ ქმნის მყარ და ეფექტურ სამართლებრივ საფუძველს საგანგებო სიტუაციების სფეროში არსებითი ცვლილებების განსახორციელებლად და სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური განვითარებისთვის.

კერძოდ, სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას. შეიქმნა ახალი უწყება, რომელმაც სწრაფი და ეფექტური როლი უნდა შეასრულოს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, მზაობის, რეაგირებისა და შედეგების ლიკვიდაციის საქმეში.

სამსახური ამჟამად აქტიურად მუშაობს მიმდინარეობს ხუთ წლიანი ინსტიტუციური განვითარების გეგმაზე. ხუთ წლიანი გეგმა ფოკუსირებულია 4 ძირითადი მიმართულებით: ესაა ორგანიზაციულ-ფუნქციური განვითარება, ტექნოლოგიური განვითარება / ტექნიკური მოდერნიზაცია, ინფრასტრუქტურული განვითარება, ადამიანური რესურსების სისტემის განვითარება.

2018 წელს დაიწყო სპეც-ტექნიკის ავტოპარკის განახლება და ეს პროცესი შეუქცევადი იქნება. საბჭოთა ტექნიკა ეტაპობრივად ჩანაცვლდება ევროპული სტანდარტების ტექნიკით იმგვარად, რომ ხუთ წლიანი გეგმის შესრულების შემდეგ ყველა მუნიციპალიტეტს ექნება ახლი თანამედროვე ინფრასტრუქტურა და სახანძრო მანქანები.⁸ საქართველოს მთავრობისთვის ეს არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, სადაც მთავრობა საკუთარი ინვესტიციების განხორციელებასაც გეგმავს.⁹

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, როგორც საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, გვერდიგვერდ მიყვება ევროკავშირში სექტორულ ინტეგრაციას, შესაბამისად ნატო/ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და თანამშრომლობის გაღრმავება სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი. აღნიშნული პრიორიტეტები, ასევე, ნათლად აისახა სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგიის პროექტში, რომელიც 2018 წლის 7 სექტემბერს დამტკიცდა.¹⁰

სამსახურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ, ამ მიზნით ჯერ კიდევ 2010 წლიდან მიმდინარეობს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ფორმატში დაფინანსებული პროგრამა სახელწოდებით - „მზადყოფნა, პრევენცია და რეაგირება ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე“ (PPRD East),¹¹ რომელშიც მონაწილეობს 6 ქვეყანა: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა.

პირველი ფაზა მიმდინარეობდა 2010-2014 წლებში, ხოლო 2014-2018 წლებში - ზემოაღნიშნული პროგრამის მეორე ფაზა PPRD-East-2, რომლის მიზანია რეგიონის ქვეყნების შესაძლებლობების გაზრდა სამოქალაქო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროს შემდეგ საკითხებში, როგორცაა: წყალდიდობის მართვა და ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივებთან მიახლოება¹²; ინდუსტრიული რისკების და SEVESO¹³ დირექტივებთან დაახლოება; მონაცემების და ინფორმაციის გაზიარება და INSPIRE¹⁴ დირექტივებთან დაახლოება; კატასტროფების რისკების შეაფასება და ელექტრონული რეგიონალური რისკების ატლასის განვითარება; სტიქიისას ზარალის მონაცემების შეგროვება და დამუშავება; სახელმწიფო ხარჯებში კატასტროფების რისკების შემცირების ჩართვა; სამოქალაქო უსაფრთხოების შესაძლებლობების გაზრდა, სადაც ჩართულია სავსე ღონისძიებების ორგანიზება და მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა. მიმდინარეობს კონსულტაციები ევროკომისიასთან, რათა PPRD-East-2 პროექტი გაგრძელდეს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

⁸ იხ. <http://kvira.ge/413669> (ბოლო ნახვა 25.02.2019).

⁹ იხ. <http://bfm.ge/delta-sakhandzro-manqanebis-warmoebas-iwyebis/>.

¹⁰ იხ. სტრატეგია სამსახურის Facebook გვერდზე <https://www.facebook.com/EmergencyManagementService/> (ბოლო ნახვა 25.02.2019).

¹¹ იხ. პროგრამის ვებ-გვერდი <http://pprdeast2.eu/en/about-pprdeast2> (ბოლო ნახვა 25.02.2019).

¹² დირექტივის შესახებ იხილეთ ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი http://ec.europa.eu/environment/water/flood_risk/index.htm (ბოლო ნახვა 25.02.2019).

¹³ დირექტივის შესახებ იხილეთ ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი <http://ec.europa.eu/environment/seveso/index.htm>.

¹⁴ დირექტივის შესახებ იხილეთ ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი <https://inspire.ec.europa.eu>.

საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინტერნაციონალიზაცია

სამსახურისთვის, როგორც ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის კუთხით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს „საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს შორის კატასტროფების რისკის მართვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“ ადმინისტრაციული შეთანხმების დადება. აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2018 წლის 13 ივლისს ქ. თბილისში ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვის საკითხებში ევროკომისიის - ქრისტოს სტილიანიდის ვიზიტის დროს.¹⁵ ეს იყო ევროკომისიის პირველი ვიზიტი საქართველოში. აღნიშნული ვიზიტი, შეიძლება ითქვას, რომ არის ისტორიულიც, რადგან ეს ვიზიტი იყო ამ სფეროში ევროკომისიის პირველი ვიზიტიც.¹⁶

ადმინისტრაციული შეთანხმება ითვალისწინებს მხარეებს შორის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობას.

შეთანხმების თანახმად მხარეები მუდმივად გაცვლიან ინფორმაციასა და საუკეთესო პრაქტიკას, მოაწყობენ ერთობლივ სემინარებს, სამუშაო შეხვედრებსა და ვიზიტებს, ექსპერტთა მისიებს და განახორციელებენ ტრენინგებს კატასტროფების რისკის მართვის სფეროში, კერძოდ, შემდეგი მიმართულებებით: კატასტროფების რისკის შეფასება; კატასტროფების რისკის შემფასებელი მექანიზმები, მათ შორის, ადრეული გაფრთხილების სისტემები; კატასტროფების რისკის მართვის დაგეგმვა; რისკის მართვის შესაძლებლობების შეფასებები; რეაგირების ოპერაციები; აფეთქებების ან ხანძრების შემდგომ დამდგარი ინციდენტების შეფასება; საგანგებო სიტუაციების გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება; რისკები, რომლებიც მომდინარეობს დიდ ინდუსტრიულ ინციდენტებთან, რაც დაკავშირებულია ქიმიურ ნივთიერებებთან (SEVESO დირექტივა); ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების შედეგად ადამიანთა მასობრივ შეკრებებთან დაკავშირებული რისკების მართვა; ევროპის გამოცდილების გაზიარება, გადაუდებელი დახმარების ნომერი - 112; საერთო ინტერესის სხვა სფეროები.

ადმინისტრაციული შეთანხმებით, ევროკომისია აღმოუჩენს მხარდაჭერას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს წვდომა ე.წ. Copernicus-ზე - სატელიტური პროგრამაზე, რომლის მეშვეობითაც ხდება დედამიწის ზედაპირზე დაკვირვება და სატელიტური სურათების გადაღება, ხოლო შემდეგ იქმნება შესაბამისი რუკები¹⁷. ასევე, კატასტროფების შემთხვევაში მოახდენს შესაბამისი რუკების შედგენას.

შესაბამის ექსპერტთა საერთაშორისო მისიებში წარგზავნის მიზნით, ევროკომისია ხელს შეუწყობს ამ პირთა ცოდნის გაღრმავებას ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის ტრენინგ პროგრამაში არსებული ადგილების შესაბამისად. მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებში: წყალდიდობასა და მიწისძვრაზე რეაგირება; ტყის ხანძრები და მათი ქრობა საჰაერო საშუალებებით; სამედიცინო დახმარება; ძებნა და გადარჩენა; სამედიცინო საჰაერო ევაკუაცია; ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ პირობებში ძებნა და გადარჩენა ევროკავშირის CBRN ცენტრთან თანამშრომლობით; მიწისძვრების შემდგომ ზარალის შეფასება.

თანამშრომლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს საჰაერო ტექნიკის დახმარებით ტყის ხანძრების ქრობის მიმართულებით მხარეებს შორის თანამშრომლობა. მხარეები, ასევე, ითანამშრომლებენ მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის საკითხებში, მათ შორის, ადრეული გაფრთხილების

¹⁵ იხ. ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი https://eas.europa.eu/delegations/georgia/48342/eu-and-georgia-strengthen-cooperation-civil-protection-and-disaster-risk-management_enhttps://ec.europa.eu/avservices/photo/photoByReportage.cfm?sitelang=en&ref=037628 (ბოლო ნახვა 25.02.2019).

¹⁶ ევროკომისიის სულ 28 ევროკომისარი ჰყავს სხვადასხვა სფეროებისა და კომპეტენციების მიხედვით. იხ. ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი https://ec.europa.eu/commission/commissioners/2014-2019_en 2014 წლიდან საქართველოს ესტუმრა 6 ევროკომისარი: ჟან კლოდ იუნკერი-ევროკომისიის პრეზიდენტი, ფედერიკა მოგერინი - საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი, მაროს სეფჩოვიჩი - ენერგეტიკის კავშირი ვიცე-პრეზიდენტი, იოჰანეს ჰანი- ევროპის სამეზობლო და გაფართოების საკითხებში კომისარი, სესილია მალშტრომი - ვაჭრობის საკითხებში კომისარი და დიმიტრის ავრამოპულოსი- მიგრაციის, საშინაო საქმეების და მოქალაქეობის კომისარი.

¹⁷ დეტალურად იხ. ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი https://ec.europa.eu/growth/sectors/space/copernicus_en.

ფაზაზე, იმ მიზნით, რომ გამარტივდეს ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის მეშვეობით კატასტროფების დროს შეთავაზებული საერთაშორისო დახმარების მიღება. შესაბამისად, აღმინისტრაციული შეთანხმების მიხედვით, დიდი მასშტაბის საგანგებო სიტუაციების დროს ევროკავშირი გაამარტივებს საქართველოსათვის დახმარების განწვევას არსებული რესურსების გათვალისწინებით.

აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებაა.¹⁸ ევროკავშირისთვის, ისევე, როგორც საქართველოსთვის, საგანგებო სიტუაციების სფერო განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, შესაბამისად, აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა ევროინტეგრაციის კუთხით კიდევ ერთი ნინ გადადგმული ნაბიჯია. ის ხელს შეუწყობს მხარეებს შორის საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში თანამშრომლობის განვითარებასა და გაუმჯობესებას.

აღმინისტრაციული შეთანხმების გაფორმება, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის მეტ ინტეგრაციას ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმთან. ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმში (რომელიც შეიქმნა 2001 წელს) განწვევრიანებულია ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფო და, ასევე, არაწევრი სახელმწიფოები: ისლანდია, მონტენეგრო, ნორვეგია, სერბეთი, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა და თურქეთი. მექანიზმის მთავარ მიზანს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფებით დაზარალებულთათვის კოორდინირებული დახმარების განწვევა წარმოადგენს.¹⁹ საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მთავარი მიზანიც ამ მექანიზმში განწვევრიანებაა.²⁰

ახალი სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება საერთაშორისო თანამშრომლობა, კერძოდ კი, რეფორმებზე და საუკეთესო გამოცდილებაზე დამყარებული საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც, ასევე, მოიცავს მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებთან ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის სწრაფ და ეფექტურ კოორდინირებას, ევროკავშირთან, ნატოსთან და გაეროსთან კრიზისების მართვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას და შესაძლებლობების ზრდას (ერთობლივი წვრთნები, სწავლებები, ექსპერტული დახმარება და ა.შ.). ასევე, სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში აქტიური ჩართულობა.

სამსახურის მთავარი მიზანია საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და საერთაშორისო სამძებრო-სამაშველო საკონსულტაციო ჯგუფის (International Search and Rescue Advisory Group) – INSARAG²¹-ის აკრედიტაციის მიღება სამაშველო ჯგუფისთვის, რაც საშუალებას მისცემს ჯგუფს, აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო მისიებში.

2019 წლის 16 აგვისტოს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და კატასტროფების მართვის ქვეყნის ჯგუფს (DMCT) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს.²² მემორანდუმში მიზნად ისახავს, საქართველოში ისეთი მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომლის გააქტიურებითაც უმოკლეს ვადებში იქნება შესაძლებელი დამდგარი საგანგებო სიტუაციით გამოწვეული საჭიროებების შეფასება და ჰუმანიტარული დახმარების სწრაფი მობილიზება - როგორც ქვეყნის შიგნით არსებული რესურსებით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. აღნიშნულის კოორდინაციას მოახდენს გაეროს მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში.²³

¹⁸ იხილეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი <http://www.mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/NAP-for-the-implementation-of-the-AA-and-AA.aspx?lang=ka-GE> 2018 წლის სამოქმედო გეგმის ქართული ვერსია და აქტივობა N. 289.1. (ბოლო ნახვა 25.02.2019).

¹⁹ იხ. ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი http://ec.europa.eu/echo/what/civil-protection/mechanism_en (ბოლო ნახვა 25.02.2019).

²⁰ ეს ინფორმაცია მოწოდებულ იქნა სსმს-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ 2018 წლის 20 სექტემბერს. ასევე, 2018 წლის 7 სექტემბერს მიღებულ იქნა სსმს-ის საერთაშორისო ურთიერთობების სტრატეგია სსმს-ის უფროსის №61057 ბრძანების საფუძველზე. 2018 წლის 23 ნოემბერს შემუშავებულ იქნა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა სსმს-ის პრიორიტეტების თაობაზე.

²¹ დეტალურად იხ. საერთაშორისო სამძებრო-სამაშველო საკონსულტაციო ჯგუფის ოფიციალური ვებ-გვერდი <https://www.insarag.org/> (ბოლო ნახვა 25.02.2019).

²² დეტალურად იხ. <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/508206-gaero-da-katastrofis-marthvis-qveynis-jgufi-saqarthvelos-sagangebo-situaciebis-marthvis-samsakhurs-krisisuli-vitharebis-dros-daekhmareba.html?ar=A> (ბოლო ნახვა 25.02.2019).

²³ იხილეთ გაეროს ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.ungeorgia.ge/eng/news_center/media_releases?info_id=608.

საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უახლოეს მომავალში გეგმავს განვე-რიანდეს სახანძრო და სამაშველო სამსახურების საერთაშორისო ასოციაციაში (CTIF)²⁴ და ამ კუთხით უკვე დაწყებულია შესაბამისი პროცედურები²⁵. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს ევროპული ქვეყნების უმრავლესობას და წარმოადგენს ამ სფეროში ერთ-ერთ უძველეს და წარმატებულ ორგანიზაციას, რომელიც 1900 წლიდან არსებობს. აღნიშნული ორგანიზაცია იქნება კარგი პლატფორმა ჩვენი მეხანძრე-მაშველთა შესაძლებლობების გაძლიერებისათვის, მათი ცოდნის გაღრმავებისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისათვის.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საგანგებო სიტუაციების სფეროში უკვე გაფორმებულია საერთაშორისო ხელშეკრულება 12 სახელმწიფოსთან,²⁶ და მოლაპარაკებების პროცესშია საერთაშორისო ხელშეკრულება 6 ქვეყანასთან²⁷. უახლოეს მომავალში ხელი მოეწერება საგანგებო სიტუაციების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებას ავსტრიასთან.²⁸ საგანგებო სიტუაციების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს პარტნიორ ქვეყნებთან ზოგადად თანამშრომლობისა და საგანგებო სიტუაციებთან გამკლავების მიზნით საერთაშორისო დახმარების მიღებისათვის მყარ სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ამ კუთხით შესაბამის ქვეყნებთან.

დასკვნა

საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ჯერ კიდევ ახალი უწყებაა იმისათვის, რომ განვსაჯოთ მისი წარმატება. შემდგომი პროგრესი დამოკიდებული იქნება „საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს შორის კატასტროფების რისკის მართვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“ დადებული ადმინისტრაციული შეთანხმების ჯეროვანი იმპლემენტაციაზე. საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის მნიშვნელოვან პრიორიტეტს. იგი, ერთი მხრივ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ევროსტანდარტების და რეგულაციების დანერგვას, ასევე, ამ სფეროს რეფორმირებას შეუწყობს ხელს, ხოლო, მეორეს მხრივ, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმში საქართველოს წევრობას უზრუნველყოფს. ამ მიზნების მიღწევა კი, თავის მხრივ, მყარ გარანტიებს შექმნის ასოცირების შესახებ შეთანხმების ჯეროვანი იმპლემენტაციისა და საქართველოს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროსთან სრული ინტეგრაციისთვის.²⁹

²⁴ დეტალურად იხ. ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი <https://www.ctif.org/> (ბოლო ნახვა 25.02.2019).

²⁵ ეს ინფორმაცია მოწოდებულ იქნა სსმს-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ 2018 წლის 15 მაისს.

²⁶ საგანგებო სიტუაციების სფეროში საქართველოს გაფორმებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებები შემდეგ სახელმწიფოებთან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ისრაელი, იორდანია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, რუსეთი, უკრაინა. აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მიერ 2018 წლის 15 მაისს.

²⁷ ეს ინფორმაცია მოწოდებულ იქნა სსმს-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს ოფიციალური წარმომადგენლის მიერ 2018 წლის 15 მაისს.

²⁸ იქვე.

²⁹ სტატია შესრულებულია სამართლის დოქ. შალვა კვინიხიძისა (შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი) და თამარ მჭედლიძის (შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, შსს-ს პოლიციის აკადემიის მონვეული ლექტორი) მიერ.